საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები

საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სასერტიფიკაციო გამოცდების პირველი ეტაპი დასრულდა.

გამოცდები 2023 წლის 11 სექტემბერიდან დაიწყო. პროცესის ორგანიზების მიზნით, ცესკომ და სწავლების ცენტრმა კომპლექსური სამუშაოები ჩაატარა. გამოცდაზე რეგისტრაციისა და შემდგომ გამოცდის მიმდინარეობისას მოქალაქეებს 16 მუნიციპალიტეტში გახსნილი საგამოცდო ცენტრები მოემსახურა. უწყვეტად ფუნქციონირებდა საგამოცდო ცენტრი სტიქიის ზონაში, ქ. ოზურგეთში მოქმედმა სამდივნომ გამოცდაზე 243 პირი მიიღო. მნიშვნელოვანია, რომ მოქალაქეებს, რომლებმაც ფორსმაჟორული სიტუაციის გათვალისწინებით ვერ მიიღეს მონაწილეობა მიმდინარე გამოცდებზე, შესაძლებლობა ექნებათ საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდა ჩააბარონ მეორე ეტაპზე, რომლის ჩატარება ოზურგეთის საგამოცდო ცენტრში დაგეგმილია ოქტომბერში.

პირველი ეტაპის გამოცდები 16 სექტემბერს დასრულდა. გამოცდაზე ჯამურად რეგისტრირებული 6299 მოქალაქიდან საგამოცდო ცენტრებში 4912 გამოსაცდელი გამოცხადდა. გამოცდის ჩაბარების შედეგების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა სერტიფიკატი 4813-მა პირმა მიიღო, მათ შორის ქალი - 3826; კაცი - 987. საგამოცდო ცენტრების მიხედვით დამუშავებული დეტალური სტატისტიკა ხელმისაწვდომია ბმულზე.

მეორე ეტაპზე ოქტომბერში დაგეგმილი საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების სასერტიფიკაციო გამოცდის შესახებ ინფორმაცია წინმსწრებად განთავსდება ცესკოს და სწავლების ცენტრის ვებ-გვერდებზე.

2023 წლის 11-16 სექტემბრის პერიოდში გამართული საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა სერტიფიცირების გამოცდის დეტალური სტატისტიკა

N	საგამოცდო ცენტრის დასახელება	გამოცდაზე დარეგისტრირებულ პირთა რაოდენობა	გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა	პირთა რაოდენობა, ვინც გამოცდა წარმატებით ჩააბარა
1	მცხეთის საგამოცდო ცენტრი	477	285	284
2	ბორჯომის საგამოცდო ცენტრი	274	252	229
3	ახალციხის საგამოცდო ცენტრი	309	286	273
4	საჩხერის საგამოცდო ცენტრი	464	432	425
5	ზესტაფონის საგამოცდო ცენტრი	480	430	416
6	ბაღდათის საგამოცდო ცენტრი	165	155	153
7	ტყიბულის საგამოცდო ცენტრი	346	273	269
8	წყალტუბოს საგამოცდო ცენტრი	496	414	409
9	ქუთაისის საგამოცდო ცენტრი	560	457	440
10	ოზურგეთის საგამოცდო ცენტრი	476	243	242
11	სენაკი საგამოცდო ცენტრი	419	398	398
12	ზუგდიდის საგამოცდო ცენტრი	576	401	401
13	ბათუმის საგამოცდო ცენტრი	450	253	247
14	ქობულეთი საგამოცდო ცენტრი	218	195	192
15	ფოთი საგამოცდო ცენტრი	75	66	65
16	დაბა შუახევის საგამოცდო ცენტრი	514	372	370